



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030498057816316

04-519/ო

11 / ოქტომბერი / 2016 წ.

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში სსიპ -
სოციალური მომსახურების სააგენტოს სამოქმედო ინსტრუქციის დამტკიცების
თაობაზე

„ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს
მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული
კოდექსის 61-ე მუხლისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის
27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური
მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს:

ა) „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში სოციალური მომსახურების სააგენტოს
სამოქმედო ინსტრუქცია“ (დანართი N1);

ბ) ძალადობის შესახებ ინფორმაციის აღრიცხვის ფორმა (დანართი N2).

2. სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (გ.გოგოლაძე) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების გაცნობა
სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულებისათვის.

3. სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტმა (მ.წერეთელი)
უზრუნველყოს:

ა) ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული ინსტრუქციის შესრულების კოორდინაცია და მონიტორინგი;

ბ) სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების უფროსებისთვის, მთავარი სპეციალისტებისთვის (იურისტები),
უფროსი სოციალური მუშაკებისა და სოციალური მუშაკებისთვის ტრენინგების ჩატარების ორგანიზება;

გ) არაუგვიანეს 2016 წლის 1 ნოემბრამდე, წერილობითი ფორმით, ცხელი ხაზის სატელეფონო ნომრის გაგზავნა
„ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში მონაწილე სუბიექტებისათვის.

4. დაევალოს სააგენტოს დირექტორის აპარატს (ნ. ჩანადირი) წინამდებარე ბრძანებისა და ამავე ბრძანებით
გათვალისწინებული ფორმების განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე: www.ssa.gov.ge.

5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს 2010 წლის 27 ოქტომბრის

N01-273/ო ბრძანება.

6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფრომაძე

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორის 2016 წლის -----
N ----- ბრძანებით

**ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის(რეფერირების) პროცედურებში სოციალური მომსახურების
სააგენტოს სამოქმედო ინსტრუქცია**

1. ზოგადი დებულებები

წინამდებარე ინსტრუქცია შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილების საფუძველზე და განსაზღვრავს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის ბავშვთა და ოჯახში ძალადობის ადმინისტრირების სამმართველოს, სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების, სოციალური მუშაკების კომპეტენციას და ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში მონაწილე სხვა სუბიექტებთან მათი კოორდინირებული ურთიერთობების ღონისძიებებს

**2. სააგენტოს უფლებამოსილება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში
და მისი განმახორციელებელი სუბიექტები**

1. სააგენტოს უფლებამოსილება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში არის ძალადობის მსხვერპლი ან სავარაუდო მსხვერპლი ბავშვის შეფასება, შემთხვევის მართვა, კონსულტირება, გადაუდებელ შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღება მოძალადისგან ბავშვის განცალკევების შესახებ, საჭირო მომსახურებაში ბავშვის განთავსება, ბავშვის მდგომარეობაზე ზედამხედველობა და რეესტრების წარმოება;

2. ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებით განსაზღვრულ ფუნქციებს სააგენტო ახორციელებს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის ბავშვთა და ოჯახში ძალადობის ადმინისტრირების სამმართველოს, სააგენტოს ტერიტორიული ერთეულებისა და იმ უფროსი სოციალური მუშაკების მეშვეობით, რომლებიც მუშაობენ მიუსაფარ ბავშვთა ქვეპროგრამის ფარგლებში.

3. სააგენტო მიმართვიანობის სისტემაში ერთვება, თუ:

ა)სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაცია იძლევა საფუძვლიან ეჭვს, რომ ბავშვზე განხორციელდა ან ხორციელდება ძალადობა;

ბ)ფაქტი ძალადობის შესახებ დადასტურებულია და ბავშვი მოთავსებულია დროებით საცხოვრებელში ოჯახის ან/და მუდმივი ადგილსამყოფელის გარეთ, ან მოძალადეა განცალკევებული მუდმივი ადგილსამყოფელიდან;

4. სააგენტო ბავშვზე განხორციელებული ძალადობის ან ძალადობის ექვის შემთხვევაში განხილვას იწყებს სააგენტოში შემოსული წერილობითი, სატელეფონო ან/და სხვა ნებისმიერი სახის საკომუნიკაციო შეტყობინების საფუძველზე, ასევე სააგენტოს თანამშრომლების მიერ გამოვლენილ შემთხვევებში.

3. სააგენტოს მეურვეობა/მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების ბავშვთა და ოჯახში ძალადობის ადმინისტრირების სამმართველოს კომპეტენცია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში

ბავშვთა და ოჯახში ძალადობის ადმინისტრირების სამმართველო:

- ა) ახორციელებს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში სააგენტოს ტერიტორიული ერთეულებისა და სოციალური მუშაკების, უფროსი სოციალური მუშაკების უფლებამოსილების შესრულების კოორდინაციას და ზედამხედველობს ამ პროცედურებში ჩართულ სააგენტოს თანამშრომლებს;
- ბ) ახორციელებს შემთხვევების გადაწყვეტისთვის კანონმდებლობით განსაზღვრულ ღონისძიებებს და ახდენს ბავშვზე ძალადობის შესახებ მიღებული ინფორმაციის კუთვნილებისამებრ დაუყოვნებლივ გადამისამართებას სააგენტოს ტერიტორიული ერთეულებისთვის;
- გ) 2019 წლის 1 იანვრამდე ახორციელებს ბავშვზე ძალადობის საკითხებზე სააგენტოს ცენტრალურ აპარატში ცხელი ხაზიდან და სხვადასხვა წყაროდან შემოსული სატელეფონო ზარებისა და ინფორმაციის აღრიცხვას სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის მიხედვით, ხოლო 2019 წლის 1 იანვრიდან საქართველოს მთავრობის დადგენილების მე-17 მუხლის 2-ე პუნქტის შესაბამისად;
- დ) აღრიცხავს სოციალური მუშაკის მიერ მოძალადისგან ბავშვის განცალკევების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებებს;
- ე) ახორციელებს ბავშვზე ძალადობის შემთხვევებისა და მათი გადაწყვეტის სტატისტიკურ ანალიზს;
- ვ) აწვდის ინფორმაციას პოლიციას მიუსაფარ ბავშვზე, სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ საიდენტიფიკაციო დოკუმენტის გაცემის თაობაზე, მშობლის მიერ ბავშვის სახელმწიფო საზღვარზე არამართლზომიერად გადაყვანის თავიდან აცილების მიზნით;
- თ) აწვდის ინფორმაციას სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიუსაფარ ბავშვზე განხორციელებული ძალადობის შემთხვევაში სააგენტოს მიერ ბავშვის განცალკევებასთან და მოძალადესთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე;
- ი) კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფენ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცვლას ამ პროცედურებში მონაწილე სუბიექტებს შორის და ამ ინფორმაციის კონფიდენციალობას, კანონმდებლობით დადგენილი წესით;

4. სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების კომპეტენცია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული ერთეულები - სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრები, რაიონული/საქალაქო განყოფილებები, თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრი, აჭარის ა/რ ფილიალი, ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრი:

ა) მონაწილეობენ დადგენილებით გათვალისწინებული სუბიექტებიდან შემოსული შეტყობინებების საფუძველზე, ბავშვზე ძალადობის შემთხვევების გამოვლენის, მართვის და ზედამხედველობის ღონისძიებებში კანონმდებლობით დადგენილი წესით,;

ბ) აწარმოებენ შემოსული შეტყობინებებისა და დადასტურებული ძალადობის შემთხვევების აღრციხვას სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის მიხედვით და ყოველთვიურად აწვდიან ინფორმაციას ბავშვთა და ოჯახში ძალადობის ადმინისტრირების სამმართველოს;

გ) კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფენ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცვლას ამ პროცედურებში მონაწილე სუბიექტებს შორის და ამ ინფორმაციის კონფიდენციალობას, კანონმდებლობით დადგენილი წესით;

5. სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების ხელმძღვანელები

სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების ხელმძღვანელები:

ა) ბავშვზე განხორციელებული დადასტურებული ძალადობის შეტყობინების მიღებისთანავე, ვალდებულნი არიან, დაავალონ სოციალურ მუშაკებს შემთხვევის შეფასება, კრიზისული ინტერვენციის გეგმის შედგენა და საჭიროებიდან გამომდინარე, უზრუნველყონ საქმის წარმოებაში ფსიქოლოგები და იურისტების ჩართვა;

ბ) ძალადობის შესაძლო განხორციელებაზე ეჭვისა და საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევებში, ვალდებულნი არიან, ფაქტის დადასტურების მიზნით, დაავალონ სოციალურ მუშაკებს ბავშვის მდგომარეობის შესწავლა, სიტუაციური ანალიზისა და საჭიროების შემთხვევაში, შეფასების განხორციელება. ასევე, საჭიროებიდან გამომდინარე, უზრუნველყონ საქმის წარმოებაში ფსიქოლოგები და იურისტების ჩართვა;

გ) უზრუნველყოფენ ბავშვზე ძალადობის შემთხვევებზე სოციალური მუშაკების მიერ მომზადებული საქმის მასალების ვიზირებას და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოსთვის წარდგენას;

დ) პასუხისმგებელნი არიან დაქვემდებარებული უფლებამოსილი პირების მიერ ბავშვთა უფლებრივ და იურიდიულ საკითხებთან დაკავშირებული საქმისწარმოების პროცესის მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში განხორციელებაზე;

ე) თანამშრომლობენ რეფერირების პროცედურებში ჩართულ ყველა სუბიექტთან;

ვ) ვალდებულნი არიან გამოყონ პასუხისმგებელი პირი, რომელიც სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ ფორმაში სხვა ინფორმაციასთან ერთად, აღრიცხავს და ბავშვთა და ოჯახში ძალადობის ადმინისტრირების სამმართველოს ყოველთვიურად მიაწვდის ინფორმაციას ქვემოთ ჩამოთვლილი დანართების მიხედვით:

ვ. ა) აქტი მშობლ(ებ)ისაგან, სხვა კანონიერი წარმომადგენლ(ებ)ისაგან ან სხვა პირ(ებ)ისგან ბავშვ(ებ)ის განცალკევების შესახებ(დანართი N1)

ვ.ბ) ბავშვზე ძალადობის საკითხებზე მათთან ნებისმიერი ფორმის შეტყობინებით შესული რეფერირების პროცედურებში ჩართული სუბიექტების კანონმდებლობით დადგენილი ფორმის, ბავშვთა დაცვის მიმართვის ბარათი (დანართი 2);

ვ.გ) აქტი პოლიციის მიერ შემაკავებელი ან დამცავი ორდერის გამოწერისა და ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, მისი მესამე პირთან (ნათესავი, მეზობელი და სხვა), გადაყვანის შესახებ(დანართი N3);

ვ.დ) უფლებამოსილი კომპეტენტური პირის მიერ შევსებული და სოციალური მუშაკებისთვის ხელზე გადაცემული „ბავშვის პოვნის ან ბავშვის მიტოვების შესახებ“ შეტყობინების ფორმა (დანართი 4);

ვ.ე) სოციალური აგენტის მიერ შევსებული ოჯახის წევრების რეფერირების ფორმა.

ზ) 2019 წლის 1 იანვრიდან ევალუბათ ინფორმაცია მიაწოდონ სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ ბავშვზე განხორციელებული ძალადობის შემთხვევაში სააგენტოს მიერ ბავშვის განცალკევებასთან და მოძალადესთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე;

თ) 2019 წლის 1 იანვრიდან ევალუბათ ინფორმაცია მიაწოდონ პოლიციას ძალადობის მსხვერპლ ბავშვზე სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ საიდენტიფიკაციო დოკუმენტის გაცემის თაობაზე, მშობლის მიერ ბავშვის სახელმწიფო საზღვარზე არამართლზომიერად გადაყვანის თავიდან აცილების მიზნით.

ი) კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფენ ძალადობის მსხვერპლი ბავშვის ვინაობის, მისი ჯანმრთელობის და ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობას, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. სოციალური მუშაკის კომპეტენცია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში

1. თუ ბავშვზე ძალადობის ფაქტი დადასტურებულია და ბავშვი განსათავსებელია უსაფრთხო გარემოში, სოციალური მუშაკი:

ა) პოლიციის შემაკავებელი ორდერით დადასტურებული, ბავშვზე ძალადობის ფაქტის შესახებ მომართვის საფუძველზე, შეტყობინების მიღებისთანავე (გარდა არასამუშაო საათებსა 18 საათიდან დილის 9 საათამდე, დასვენების ან უქმე დღეებში გამოცემული შემაკავებელი ორდერებისა), სოციალური მუშაკი გადის შემთხვევის ადგილზე, ახორციელებს სიტუაციურ ანალიზს და გადაუდებელი რეაგირების ოქმით უზრუნველყოფს შესაბამის მომსახურებაში ან/და დანართი N3-

ით მესამე პირთან (ნათესავი, მეზობელი და სხვა) ბავშვის გადაყვანას საპატრულო პოლიციის დახმარებით;

ბ) არასამუშაო საათებსა და დასვენების ან უქმე დღეებში შემაკავებელი ორდერების გამოცემის შემთხვევაში, ბავშვის გადაყვანა შესაბამის მომსახურებაში ხორციელდება პოლიციისა და სოციალური სამსახურის ერთობლივი კონსულტირების საფუძველზე;

გ) იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი გადადის სახელმწიფო მზრუნველობაში, სოციალური მუშაკი ამზადებს საჭირო დოკუმენტაციას (გადაუდებელი რეაგირების ოქმი, დასკვნა და კრიზისის გეგმა) მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონულ საბჭოზე წარსადგენად;

დ) რეგიონული საბჭოს გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ახორციელებს შემთხვევის მართვასა და ბავშვის მდგომარეობაზე ზედამხედველობას.

ე) თუ ბავშვი გადადის მესამე პირთან (ნათესავი, მეზობელი და სხვა), სოციალური მუშაკი ამზადებს საჭირო დოკუმენტაციას (დანართი N3, დასკვნა და კრიზისული ინტერვენციის გეგმა) მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონულ საბჭოზე შემთხვევის განსახილველად.

ვ) საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ბავშვისთვის დაბადების რეგისტრაციის და/ან ბავშვისთვის პირადობის დამადატურებელი დოკუმენტაციის, მათ შორის, დროებითი საიდენტიფიკაციო დოკუმენტების, მოპოვების/მიღების მიზნით, შესაბამისი პროცედურის განხორციელებას, ბავშვის საგანმანათლებლო სისტემაში ჩართვასა და ადგილობრივ პოლიკლინიკაში აღრიცხვას;

2. თუ ბავშვზე ძალადობის ფაქტი დადასტურებულია და ბავშვი განთავსებულია უსაფრთხო გარემოში, სოციალური მუშაკი:

ა) შეტყობინების მიღებისთანავე, ახდენს ბავშვის შეფასებას განთავსების ადგილზე, უზრუნველყოფს დასკვნის მომზადებას, კრიზისული ინტერვენციის გეგმის შედგენას და ბავშვისთვის მზრუნველობის ოპტიმალური ფორმის განსაზღვრას;

ბ) ამზადებს საჭირო დოკუმენტაციას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონულ საბჭოზე შემთხვევის განსახილველად;

გ) რეგიონული საბჭოს გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ახორციელებს შემთხვევის მართვას, ინდივიდუალური განვითარების გეგმის შედგენას და ბავშვის მდგომარეობაზე ზედამხედველობას.

3. თუ სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაცია იძლევა სავარაუდო, ან საფუძვლიან ეჭვს, რომ ბავშვზე განხორციელდა ან ხორციელდება ძალადობა, სოციალური მუშაკი:

ა) ახორციელებს ვიზიტს ბავშვთან.

ბ) აფასებს ბავშვზე ძალადობის შემთხვევას: ახდენს ბავშვზე ძალადობის ნიშნების იდენტიფიკაციას, საჭიროებისამებრ რთავს სხვა სპეციალისტებს (იურისტი, ფსიქოლოგი) და ძალადობის შედეგებისა და ბავშვის უსაფრთხოების რისკების გათვალისწინებით, იღებს გადაწყვეტილებას ბავშვთან დაკავშირებით: თუ ბავშვთან ვიზიტის დროს, სოციალურმა მუშაკმა, ჩათვალა, რომ საჭიროა ბავშვის ერთ-ერთ მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან/სხვა პასუხისმგებელ პირთან ერთად ან მარტო

უსაფრთხო გარემოში გადაყვანა, იგი დაუყოვნებლივ მიმართავს პოლიციას შემაკავებელი ორდერის გამოწერის მიზნით;

გ) იმ შემთხვევაში, თუ პოლიციის მიერ არ განხორციელდება შემაკავებელი ორდერის გაცემა და ბავშვის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ სოციალურ მუშაკს მიაჩნია, რომ ბავშვი ოჯახიდან გამოსაყვანია, ამავდროულად, ოჯახის წევრ(ებ)ი/კანონიერი წარმომადგენელი/სხვა პასუხისმგებელი პირი უარს აცხადებს სააგენტოსთან თანამშრომლობაზე, სააგენტოს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით;

დ) დამცავი ორდერის გამოცემის შემდეგ, სოციალური მუშაკი, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოს მიმართვისა და მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, განათავსებს ბავშვს საჭირო მომსახურებაში (მინდობით აღზრდა, ბავშვთა სპეციალიზებული დაწესებულება ან თავშესაფარი);

ე) იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, ბავშვის გადაყვანა მოხდა მესამე პირთან (ნათესავი, მეზობელი და სხვ.), სოციალური მუშაკი აფორმებს „პოლიციის მიერ შემაკავებელი ან დამცავი ორდერის გამოწერისა და ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე მის მესამე პირთან (ნათესავი, მეზობელი და სხვ.) გადაყვანის შესახებ“ აქტს (დანართი N3) და ბავშვი გადაყავს საპატრულო პოლიციის დახმარებით;

ვ) თუ ბავშვთან ვიზიტის დროს სოციალური მუშაკის შეფასების შედეგად დადგინდა, რომ საქმე ეხება გადაუდებელ შემთხვევას, ის დაუყოვნებლივ მიმართავს პოლიციას და იძახებს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადას. გადაუდებელ შემთხვევაში ბავშვის გამოყვანა ხორციელდება შემაკავებელი ორდერის გამოცემის საფუძველზე;

ზ) გადაუდებელ შემთხვევაში მოძალადისგან განცალკევებული ბავშვის დროებითი განთავსების ადგილის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება რეგიონალური საბჭოს თავმჯდომარის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით, გადაუდებელი რეაგირების ოქმის საფუძველზე და ყველა შემთხვევაში, მიღებული ერთპიროვნული გადაწყვეტილება ინფორმირებისა და განხილვის მიზნით, გატანილ უნდა იქნას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოს პირველივე სხდომაზე.

თ) იმ შემთხვევაში, თუ პოლიცია არ გამოსცემს შემაკავებელ ორდერს და ადგილზე გამოცხადებისას, სოციალური მუშაკი სიტუაციას აფასებს, როგორც გადაუდებელ მდგომარეობას, რომლის დროსაც ბავშვის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას მომდევნო 24 საათის განმავლობაში ემუქრება საფრთხე, სოციალური მუშაკი იღებს გადაწყვეტილებას ბავშვთან დაკავშირებით, ბავშვის მოძალადისგან განცალკევება ხორციელდება „მშობლ(ებ)ისაგან, სხვა კანონიერი წარმომადგენლ(ებ)ისაგან ან სხვა პირ(ებ)ისგან ბავშვ(ებ)ის განცალკევების შესახებ“ აქტის(დანართი N1) საფუძველზე და პოლიცია ეხმარება მას ამ გადაწყვეტილების აღსრულებაში. თუ ბავშვი გადაჰყავთ არა სახელმწიფო მზრუნველობაში, არამედ მესამე პირთან((ნათესავი, მეზობელი და სხვა), დანართი N1_თან ერთად ივსება აქტი მესამე პირთან (ნათესავი, მეზობელი და სხვა), გადაყვანის შესახებ(დანართი N3);

თ.1) თუ სოციალური მუშაკის მიერ შევსებულია მხოლოდ დანართი N1, ის მიმართავს რეგიონულ საბჭოს ბავშვის შესაბამის მომსახურებაში განსათავსებლად.

თ.2) თუ სოციალური მუშაკის მიერ დანართი N1 ერთად შევსებულია დანართი N3 და ბავშვის განთავსება ხორციელდება მესამე პირთან, ის მიმართავს რეგიონულ საბჭოს შემთხვევის განხილვის მიზნით.

ი) ბავშვის მესამე პირთან (ნათესავი, მეზობელი და სხვა) განთავსების შემდეგ სოციალურმა მუშაკმა უნდა უზრუნველყოს მზრუნველობის საბოლოო ფორმის განსაზღვრა არაუგვიანეს 90 დღისა.

კ) შემთხვევის მართვისას სოციალური მუშაკი უზრუნველყოფს ინდივიდუალური გეგმის შემუშავებას და ზედამხედველობას უწევს გეგმის განხორციელებას. გარდა ამისა, ბავშვის ადგილმდებარეობის შეცვლის შემთხვევაში, სოციალური მუშაკი უზრუნველყოფს მის ჩართვას საგანმანათლებლო პროცესში და აღრიცხავს პირველადი ჯანდაცვის რგოლში;

ლ) ბავშვის პოვნის ან მიტოვების შემთხვევაში, სოციალური მუშაკი პასუხისმგებელი (კომპეტენტური) პირისგან მოითხოვს კანონმდებლობით დამტკიცებული შეტყობინების ფორმის გადაცემას (დანართი N4) და ახორციელებს ნაპოვნი/მიტოვებული ბავშვისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს;

მ) ბავშვზე ძალადობის ნებისმიერი შემთხვევის მართვის პროცესში აღმოჩენილი ახალი გარემოებების საფუძველზე, სოციალური მუშაკი, საჭიროების შემთხვევაში, მიმართავს პოლიციას;

ნ) საგანმანათლებლო ან/და სკოლის გარეშე სახელოვნებო ან/და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, საბავშვო ბაღებთან და ბავშვთა სპეციალიზებულ და სამედიცინო სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებებთან, აგრეთვე პოლიციასთან, მისი კომპეტენციის ფარგლებში, თანამშრომლობით უზრუნველყოფენ ბავშვის ინდივიდუალური განვითარების გეგმის მონიტორინგსა და ბავშვის მდგომარეობაზე რეგულარული (სიხშირე დამოკიდებულია კონკრეტულ შემთხვევაზე) ზედამხედველობის ღონისძიებებს, საჭიროების შემთხვევაში, ღებულობენ ზომებს ბავშვის ინდივიდუალური განვითარების გეგმის გადასინჯვის, გეგმით გათვალისწინებული მომსახურების შეჩერების, შეცვლის, გაუქმების ან ახალი მომსახურებების განსაზღვრის მიზნით;

ო) ზედამხედველობის პროცესის ფარგლებში, სოციალური მუშაკი განსაზღვრული პერიოდულობით (არანაკლებ 1 ვიზიტისა თვეში), ახორციელებს ვიზიტს და კანონმდებლობის შესაბამისად, მოითხოვს წერილობით ანგარიშს ბავშვის მიმდინარე მდგომარეობის შესახებ, საგანმანათლებლო ან/და სკოლის გარეშე სახელოვნებო ან/და სასპორტო საგანმანათლებლო, სამედიცინო სერვისის მიმწოდებელი, ბავშვთა სპეციალიზებული დაწესებულებებიდან და საბავშვო ბაღებიდან;

პ) უზრუნველყოფს დამცავი/შემაკავებელი ორდერის (ვადების მითითებით) შესახებ საგანმანათლებლო ან/და სკოლის გარეშე სახელოვნებო ან/და სასპორტო საგანმანათლებლო, საბავშვო ბაღების და ბავშვთა სპეციალიზებულ დაწესებულებების ინფორმირებას წერილობით, რომელშიც მითითებული იქნება მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის საკითხი;

ჟ) თუ საგანმანათლებლო ან/და სკოლის გარეშე სახელოვნებო ან/და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებები, საბავშვო ბაღები და ბავშვთა სპეციალიზებული დაწესებულებები დაამოწმებენ, რომ ადგილი ჰქონდა მოძალადის მიერ ბავშვთან კონტაქტის მცდელობას, სოციალური მუშაკი აწვდის ინფორმაციას პოლიციას;

7. მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში მომუშავე უფროსი სოციალური მუშაკები:

მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში მომუშავე უფროსი სოციალური მუშაკები:

ა) მიუსაფარი ბავშვის აღმოჩენის შემთხვევაში, იდენტიფიცირების მიზნით, მობილური ჯგუფის უფროსი სოციალური მუშაკები ავსებენ სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულ მაძიებლის ანკეტას;

ბ) მაძიებლის ანკეტის საფუძველზე, საჭიროებისამებრ, განათავსებენ მიუსაფარ ბავშვს საჭირო მომსახურებაში და გამოაქვთ გადაწყვეტილება მომსახურებაში ჩარიცხვის თაობაზე;

გ) ახორციელებს ბავშვის შეფასებას, დასკვნის მომზადებას და კრიზისული ინტერვენციის გეგმის შედგენას;

დ) ახორციელებს შემთხვევის მართვას, ინდივიდუალური გეგმის შედგენას და ბავშვის მდგომარეობაზე ზედამხედველობას;

ე) საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ბავშვისთვის დაბადების რეგისტრაციის და/ან ბავშვისთვის პირადობის დამადატურებელი დოკუმენტაციის, მათ შორის, დროებითი საიდენტიფიკაციო დოკუმენტების, მოპოვების/მიღების მიზნით, შესაბამისი პროცედურის განხორციელებას, ბავშვის საგანმანათლებლო სისტემაში ჩართვასა და ადგილობრივ პოლიკლინიკაში აღრიცხვას;

ვ) აწვდის ინფორმაციას ბავშვთა და ოჯახში ძალადობის ადმინისტრირების სამმართველოს მიუსაფარ ბავშვზე განხორციელებული ძალადობის თითოეული შემთხვევისა და სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ საიდენტიფიკაციო დოკუმენტის გაცემის თაობაზე.

8. სხვა დებულებები

1. წინამდებარე ინსტრუქციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სააგენტოს დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;
2. სააგენტოს კომპეტენციაში შემავალი ბავშვთა ძალადობისაგან დაცვის საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ ინსტრუქციით, გადაუდებელი აუცილებლობისას, რეგულირდება ბავშვთა და ოჯახში ძალადობის ადმინისტრირების სამმართველოსთან შეთანხმებით.

9. გარდამავალი დებულებები

წინამდებარე ინსტრუქციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტში, მე-2 პუნქტ „ა“ ქვეპუნქტსა და მე-7 მუხლის „გ“ პუნქტში მითითებული კრიზისული ინტერვენციის გეგმის შემუშავება განხორციელდება სააგენტოს დირექტორის მიერ შესაბამისი ფორმის დამტკიცებისთანავე.

ძალადობის შესახებ ინფორმაციის აღრიცხვის ფორმა

დანართი: 2

N
შეტყობინების თარიღი
თვე
წელი
შეტყობინების წყარო
შეტყობინების ფორმა: ვიზიტი ოფისში, სატელეფონო, წერილობითი
შეტყობინება მშობლი(ებ)სგან, სხვა კანონიერი წარმომადგენლ(ებ)ისგან განცალკევებული ბავშვ(ებ)ის აქტის მიხედვით (დანართი N1)
შეტყობინება ბავშვის დაცვის მინიმუმის ბარათი მიხედვით (დანართი N2)
შეტყობინება პოლიციის მიერ შემკავებული ან დამცავი ორდერის გამოწერისა და ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, მისი მესამე პირთან (ნათესავი, მეზობელი და სხვ.); გადაყვანის აქტის მიხედვით (დანართი N3)
შეტყობინება ბავშვის პოვნის ან მიტოვების დანართი მიხედვით (დანართი N4)
შეტყობინება სოციალური აგენტის მიერ შეგესებული ოჯახის დეკლარაციის დანართით
შეტყობინება მიუსაფარ ბავშვზე ძალადობის შესახებ
შემტყობინებლის სახელი, გვარი
ტელეფონი
ბავშვის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სახელი
ბავშვის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის გვარი
სქესი
დაბადების თარიღი
თვე
წელი
ბავშვის დედის სახელი, გვარი
ბავშვის მამის სახელი, გვარი
საკონტაქტო ინფორმაცია
რეგიონი
რაიონი
ფაქტიური მისამართი
ძალადობის ტიპი
მომალადე პირი/პირები (კავშირი ბავშვთან, მსხვერპლთან)
ჩართული უწყებები
გაიცა თუ არა შემკავებული ან დამცავი ორდერი
მიმართეს თუ არა სასამართლოს მშობლის უფლების შეზღუდვის ან ჩამორთმევის მოთხოვნით
დადასტურდა თუ არა ძალადობა
სოციალური მუშაკის მიერ განხორციელებული სამუშაო
ბავშვის, მსხვერპლის განთავსების ადგილი ძალადობის ფაქტის შემდეგ (ბიოლოგიური ოჯახი, მესამე პირი (ნათესავი, მეზობელი და სხვ.) მიწოდებითი აღზრდა, მცირე საოჯახო, მ/სახლი, თავშესაფარი, კრიზისული ცენტრი)
შედეგი
სოციალური მუშაკის სახელი, გვარი
ოპერატორის სახელი, გვარი